ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე
გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი
თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.08.2016
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/16

შეკითხვა:

ქართული საადვოკატო ბიურო წარმოადგენს უცხოური საადვოკატო ბიუროს ქვეკონტრაქტოს. ქართული საადვოკატო ბიურო მიიღებს კლიენტისგან ანაზღაურების 80%-ს, ხოლო 20%-ს მიიღებს კონტრაქტორი. კლიენტი ინფორმიერბული იქნება ქართული საადვოკატო ბიუროს მიერ მიღებული ანაზღაურების შესახებ, რადგან 80%-ის შესაბამის თანხაზე გამოწერს ინვოისს. უცხოური საადვოკატო ბიურო სავარაუდოდ, დახარჯავს გარკვეულ დროს, რომელიც შეიძლება შესაბამისობაში იყოს მის მიერ ასაღებ 20%-ის ანაზღაურებასთან. უცხოური საადვოკატო ბიურო კლიენტს გამოუწერს ინვოისს 100%-ზე, თუმცა ქართული საადვოკატო ბიუროს, როგორც ქვეკონტრაქტორის მოთხოვნა იქნება, რომ კლიენტს ასევე მიაწოდონ ინვოისი 80 პროცენტის ანაზღაურებაზე. კლიენტი მულტინაციონალური კორპორაციაა, რომელთანაც შესაძლოა პირდაპირი კონტაქტი არ ჰქონდეს ქართულ საადვოკატო ბიუროს.

ამ შემთხვევაში, არღვევს თუ არა ქართული საადვოკატო ბიურო კონტრაქტორსა და ქვეკონტრაქტორ იურიდიულ ბიუროებს შორის ანაზღაურების ამგვარი განაწილებისას, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილს?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით: „ადვოკატს არა აქვს უფლება გადაუხადოს გადასახადი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის კომპენსაცია პირს კლიენტისათვის პირადად მისი რეკომენდირებისათვის. ამ აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება, თუკი ერთ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატი საკუთარი ანაზღაურების ნაწილს გადასცემს ამ ბიუროში მომუშავე სხვა ადვოკატს, პენსიაზე გასულ ადვოკატს ან ადვოკატის მემკვიდრეს“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრულია იმ პირთა წრე, რომლებთანაც შესაძლებელია საადვოკატო ჰონორარის განაწილება. აღნიშნულ წრეს მიეკუთვნება: ერთ საადვოკატო

ბიუროში მომუშავე ადვოკატები, ასევე პენსიაზე გასული ადვოკატები და ადვოკატის მემკვიდრე, სხვა შემთხვევებში, ეთიკის კოდექსი კრძალავს ადვოკატმა გადაუხადოს რაიმე სახის გადასახადი პირს პირადად მისი რეკომენდირებისათვის.

შეკითხვიდან ირკვევა, რომ ქართული საადვოკატო ბიურო წარმოადგენს უცხოური საადვოკატო ბიუროს ქვეკონტრაქტორს და მათ შორის შეთანხმების საფუძველზე პროცენტულად არის განსაზღვრული საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული ჰონორარის განაწილების წესი. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი არ კრძალავს საადვოკატო ბიუროებს შორის ამგვარი შეთანხმების საფუძველზე საადვოკატო ჰონორარის განაწილებას, არამედ ის ეხება კონკრეტული ადვოკატის მიერ სხვასთან ჰონორარის განაწილების საკითხს, რა შემთხვევაშიც, ადვოკატს ეთიკის კოდექსით განსაზღვრული შემთხვევების გარდა, ეკრძალება სხვა პირთან საადვოკატო ჰონორარის განაწილება.

დასკვნა:

საადვოკატო ბიუროებს შორის შეთანხმება საადვოკატო მომსახურების ჰოპნორარის განაწილების თაობაზე არ წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-10 ნაწილის დარღვევას.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/